

რადიოების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

21 აგვისტო-17 სექტემბერი 2012

„ინტერნიუს-საქართველომ“ 2012 წლის 21 აგვისტო - 17 სექტემბრის პერიოდში 12 რადიო სადგურის სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგისას გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- რადიოებში კვლავაც ნაკლებად ხდება კვლევის სუბიექტების პირდაპირი გაშუქება და რადიო სადგურების დიდი ნაწილი მოკლე საინფორმაციო გამოშვებებით შემოიფარგლება;
- უშუალოდ ჟურნალისტები ნაკლებად აკეთებენ შეფასებებს სიუჟეტში გაშუქებულ თემებთან ან კონკრეტულ სუბიექტთან დაკავშირებით და უმეტესად ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებიან. ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია ჟურნალისტური ეთიკის დარღვევას, სიძულვილის ენის გამოყენებას ან მიკერძოებულ გაშუქებას; აღნიშნული ტენდენცია თანაბრად ვრცელდება თორმეტივე რადიოზე;
- გაშუქების ტონის თვალსაზრისით, გასულ სამონიტორინგო პერიოდებთან შედარებით, სურათი გაცილებით ჭრელია. ეს ძირითადად განპირობებულია არჩევნების მოახლოვებასთან ერთად ნეგატიურ და პოზიტიურ ტონში გაკეთებული შეფასებების მატებით, რასაც შემდეგ ჟურნალისტები უცვლელად ციტატის სახით, უმეტეს შემთხვევებში კი პერეფრაზის ფორმით გვაწვდიან;
- ჟურნალისტების მიერ გამოყენებული ტონი ხშირ შემთხვევაში ნეიტრალურია, თუმცა მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ჟურნალისტების მხრიდან სუბიექტების ნეგატიურ და პოზიტიურ ტონში გაშუქების შემთხვევებიც;
- ნეგატიური ტონი კონკრეტული სუბიექტის მიმართ ძირითად შემთხვევებში გამოიყენება ციტირების, ან ერთი სუბიექტის მიერ მეორეზე საუბრის შემთხვევაში;
- ნეიტრალურ ტონთან შედარებით, მცირეა პოზიტიური ტონის გამოყენება და ხშირ შემთხვევაში იგი გვხვდება ერთი სუბიექტის მხრიდან თავისივე ან ცალკეული პოლიტიკური ჯგუფის

პოლიტიკური აქტივობის და მიღწეული შედეგების თაობაზე გაკეთებულ შეფასებებში. ყველაზე ხშირად პოზიტიური ტონი პრეზიდენტის, მთავრობის, კოალიცია ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიის გაშუქებისას გამოიყენება;

- არჩევნების მოახლოვებასთან ერთად რადიოები სულ უფრო მეტ საეთერო დროს უთმობენ პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო აქტივობებს, რაც აისახება პარტიების გაშუქებისთვის დათმობილი დროის ზრდაზე;
- მონიტორინგის მეოთხე პერიოდში პრეზიდენტს, მთავრობას და პარლამენტს შედარებით ნაკლები დრო აქვთ დათმობილი. ეს ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ 21 აგვისტო-17 სექტემბრის პერიოდში ეს სუბიექტები როგორც წესი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კონტექსტში შუქდებოდნენ, შესაბამისად დრო სწორედ პარტიას ეწერებოდა. თავის მხრივ, გაზრდილია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქების სიხშირე;
- ცალკეული რადიოსადგურები (რადიო იმედი, რადიო 1, რადიო მწვანე ტალღა, რადიო ათინათი, რადიო ძველი ქალაქი) განსაკუთრებით დიდ დროს უთმობენ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო საქმიანობების გაშუქებას. თუმცა, დროის განაწილება კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და ძირითად აქტორებზე მეტწილად თანაბარია;
- რეგიონული რადიოები (ათინათი, ძველი ქალაქი და ჰერეთი) გამოირჩევიან თემატური მრავალფეროვნებით და დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც მასშტაბურ მოვლენებს (განსაკუთრებით საარჩევნო საკითხებს), ასევე ლოკალურ სოციალურ პრობლემებსაც;
- მონიტორინგის პერიოდში იმატა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სადამკვირვებლო მისიების და ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის გაშუქების სიხშირემ;
- დათმობილი დროის თვალსაზრისით თითქმის ყველა რადიოში პირველ ადგილზე კოალიცია ქართული ოცნება გვხვდება. გამონაკლისია რადიო იმედი, რადიო ათინათი და რადიო 1, სადაც სამონიტორინგო პერიოდში გაშუქების თვალსაზრისით, შესაბამისად, მთავრობა/ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ლიდერობენ.

მეთოდოლოგია და ანალიზი

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ეტაპებისგან. რაოდენობრივი კვლევისას დაკვირვება ხდება შემდეგ ინდიკატორებზე: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი კვლევის ეტაპზე კი მონიტორი შემდეგ თვისებრივ მაჩვენებლებს აკვირდება: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ფაქტების დროული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება.

რაოდენობრივი კვლევის ეტაპზე ითვლება დრო (წამობრივად), როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, რადიო სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტში წარმოდგენილი ნებისმიერი რესპონდენტი.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ სიუჟეტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც. ამგვარი შეფასების მიზანია განვსაზღვროთ ვუქმნით თუ არა მსმენელს სუბიექტთან დაკავშირებით დადებით, ნეიტრალურ ან ნეგატიურ შთაბეჭდილებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტონი არ ენიჭება მთლიან სიუჟეტს. მონიტორები სიუჟეტს მასში მოხსენიებული სუბიექტების მიხედვით ანაწევრებენ და მონაცემთა ბაზაში თითოეულ მათგანს გაშუქების ტონის, მათთვის დათმობილი საეთერო დროის (წამებში), ინფორმაციის წყაროს და თემის მიხედვით აღრიცხავენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ხშირად ერთი სიუჟეტი სხვადასხვა ტონის შემცველ განცხადებებს მოიცავს ერთი ან რამდენიმე სუბიექტის მიმართ.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (წთ:წმ ფორმატში).

დიაგრამებზე ასევე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის

შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო.

თვისებრივად მონიტორინგის დროს მონიტორინგი აკვირდება არის თუ არა სიუჟეტებში გაშუქებული ფაქტი/საკითხი დაბალანსებულად გადმოცემული, ანუ აქვს თუ არა მაყურებელს შესაძლებლობა მოისმინოს/ნახოს სხვადასხვა კუთხით ეს საკითხი და შეაფასოს მოცემული მოვლენა თავისი შეხედულებისამებრ. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ინფორმაციის წყაროებს და სიუჟეტში გამოყენებულ სხვადასხვა მოსაზრების მქონე რესპონდენტებს. ასევე დაკვირვება ხდება მიუკერძოებლობაზე, რომელიც განისაზღვრება იმით, რომელიმე სუბიექტი/სუბიექტები თუ არის გამორჩეული მის მიმართ ხანგრძლივი გაშუქებითა და უმეტესად დადებითი ან უარყოფითი ტონით. ამასთან, სიზუსტის შესაფასებლად მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან სიუჟეტში ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. თუ ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტს რომელიმე არხის საინფორმაციო გამოშვება არ გააშუქებს, ეს აღირიცხება მონიტორინგის დროს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 11 მაისი - 20 აგვისტოს პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები რადიოების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დამონიტორინგებული რადიოს შემთხვევაში ტენდენციები და მიგნებები მსგავსია. მთავარი ტენდენციები კი იმაში მდგომარეობს, რომ რადიოები საკმაოდ დაბალანსებულად და სიზუსტით აშუქებენ მონიტორინგის სუბიექტებთან დაკავშირებულ მოვლენებს.

რადიო „ფორტუნა“

რადიო „ფორტუნა“ 5 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებს, სადაც დღის ამბებს მოკლედ მიმოიხილავს. ჯამში რადიოს ეთერში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას დაახლოებით ერთი საათი და ოცი წუთი დაეთმო. აქედან დროის უმეტესი ნაწილი ფორტუნამ კოალიცია ქართულ ოცნებას, მთავრობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუთმო. აღნიშნული სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. მთლიანობაში რადიო ფორტუნა არ გამოირჩევა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტების მიმართ ტენდენციური დამოკიდებულებით.

რადიო „ცხელი შოკოლადი“

რადიო საკმაოდ მცირე დროს უთმობს პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებას (ჯამში 23წთ) და ეს ტენდენცია თვალშისაცემია მონიტორინგის პირველივე პერიოდიდან. დათმობილი დროის მიხედვით კოალიცია ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ლიდერობენ. საუბრის ფორმა უმეტესად ირიბია, ტონი კი ნეიტრალური.

რადიო „თავისუფლება“

რადიო თავისუფლებამ გადაცემის ხანგრძლივობიდან გამომდინარე პოლიტიკურ სუბიექტებს დაახლოებით 5 საათი და 35 წუთი დაუთმო. რადიო თავისუფლებაზე ყველაზე მეტი დრო (1სთ და 14 წუთი) კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო, რაც სუბიექტებისთვის დათმობილი სრული დროის 21% შეადგენს. აქტიურად შუქდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაც: მთავრობას 45 წუთი დაეთმო, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი - 43 წუთი. კოალიცია ქართული ოცნება დროის 6%-ის შემთხვევაში ნეგატიურ ტონში გაშუქდა, მმართველი პარტიის ნეგატიური გაშუქების მაჩვენებელმა კი 21% შეადგინა. სუბიექტები, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში ნეგატიურ ტონში შუქდებოდნენ: ხელისუფლება (61%), სახელმწიფო აუდიტის სამსახური (35%) და პრეზიდენტის აპარატი (31%).

აღსანიშნავია, რომ რადიო თავისუფლება პოლიტიკური პარტიებიდან ძირითადად კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აშუქებს. სხვა პარტიებისთვის დათმობილი დროის ჯამი სუბიექტებისთვის სრულად დათმობილი დროის მხოლოდ 5%-ს შეადგენს.

რადიო „იმედი“

რადიო იმედი მონიტორინგის პერიოდში თითქმის თანაბრად აშუქებდა მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და კოალიცია ქართულ ოცნებას. პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ აქაც ირიბი საუბარი ჭარბობს. პირდაპირი საუბარი ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტის და კოალიცია ქართული ოცნების გაშუქებისას. რაც შეეხება გაშუქების ტონს, ისევე როგორც დანარჩენ 11 რადიოში, აქაც ნეიტრალური ტონი ჭარბობს. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიურ ტონში გაშუქების შემთხვევების კოალიცია ქართული ოცნების (26%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (1%) გაშუქებისას.

რადიო „უცნობი“

დათმობილი ფართობის მიხედვით, რადიო უცნობმა ყველაზე დიდი საეთერო დრო კოალიცია ქართულ ოცნებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს დაუთმო. ირიბი და პირდაპირი საუბრის თვალსაზრისით სურათი აქ შედარებით მრავალფეროვანია. მაგალითად, კოალიცია ქართული ოცნება თითქმის თანაბრად შუქდებოდა ირიბ და პირდაპირ პირში. ასევე დაფიქსირდა პირდაპირი გაშუქების შემთხვევები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტის, მთავრობისა და ახალი მემარჯვენეების მისამართით.

უცნობზე გვხვდება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაშუქების მაგალითები, თუმცა ირიბი გაშუქება მაინც ყველაზე ხშირად გამოიყენება. გაშუქების ტონის თვალსაზრისით ჭარბობს ნეიტრალური ტონი, თუმცა ადგილი ჰქონდა უარყოფით ტონში გაშუქებასაც. მაგალითად ხელისუფლება უმეტეს შემთხვევებში (86%) ნეგატიურ ტონში შუქდებდა. გასული პერიოდებისგან განსხვავებით, დაფიქსირდა პოზიტიურ ტონში გაშუქების მაგალითებიც, მაგალითად კოალიცია ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტის, მთავრობის, ახალი მემარჯვენეების და ცესკოს მისამართით.

რადიო „ჰერეთი“

რადიო ჰერეთი საარჩევნო კამპანიებისპარალელურად დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივ სიახლეებს, რეგიონში და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში განვითარებულ პროცესებს. მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (27%), პრეზიდენტს (14%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (13%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (11%). სხვა რადიოებისგან განსხვავებით, რადიო ჰერეთის ეთერში ხშირი იყო მონიტორინგის სუბიექტების მხრიდან პირდაპირი საუბარი. გამოყენებული ტონი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური იყო, თუმცა იყო ნეგატიურ და პოზიტიურ ტონში გაშუქების შემთხვევებიც. მაგალითად, ხელისუფლება თითქმის ყოველთვის ნეგატიურ ტონში შუქდებოდა (95%)

რადიო „პალიტრა“

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის მიხედვით, რადიო პალიტრაში კოალიცია ქართული ოცნება (30%) ლიდერობს. მეორე და მესამე ადგილებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი ინაწილებენ (16% და 12%). მთავრობას და ხელისუფლებას თითქმის თანაბარი 10% და 9% ერგოთ.

ირიბი და პირდაპირი საუბრის თვალსაზრისით რადიო პალიტრაში საკმაოდ მრავალფეროვანი სურათია. მიუხედავად იმისა, რომ ირიბი

საუბარი კვლავაც ყველაზე ხშირად გამოიყენება, პირდაპირი საუბრის საკმაოდ დიდი წილი მოდის ძირითად პოლიტიკურ სუბიექტებზე. საკმაოდ ჭრელი სურათია გაშუქების ტონთან მიმართებაში. ადგილი ჰქონდა როგორც პოზიტიურ, ნეიტრალურ ისე ნეგატიურ გაშუქებას. აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე ხშირად რადიო ნეგატიურ ტონში ხელისუფლებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და კოალიცია ქართულ ოცნებას აშუქებდა. მცირე დოზით პოზიტიური ტონი გამოყენებული იყო ასევე კოალიცია ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, მთავრობის, პრეზიდენტის და ხელისუფლების მიმართ.

რადიო „მწვანე ტალღა“

რადიო მწვანე ტალღა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებისას ძირითად დროს კოალიცია ქართული ოცნების (24წთ), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (20წთ), მთავრობის (17წთ) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის(15წთ) აქტივობებს უთმობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტის ტონი სუბიექტების მიმართ ძირითად შემთხვევებში ნეიტრალური იყო, უარყოფითი და პოზიტიური გაშუქების მაჩვენებელი კი ხშირად თავად მონიტორინგის სუბიექტების საუბრისას ფიქსირდებოდა. ტონის თვალსაზრისით ყველაზე მრავალფეროვანი სურათი ხელისუფლების შემთხვევაში გამოიკვეთა: 49% - პოზიტიური, 16% - ნეიტრალური, ხოლო 35% - ნეგატიური.

რაც შეეხება პირდაპირ და ირიბ გაშუქებას, ირიბი გაშუქების პროცენტული მაცვენებელი ჭარბობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს გარკვეული დროის განმავლობაში პირდაპირი საუბრის საშუალებაც მიეცა.

რადიო „ათინათი“

სხვა რეგიონული რადიოსადგურების მსგავსად რადიო ათინათიც დიდ ყურადღებას უთმობს უშუალოდ სამეგრელოში განვითარებულ მოვლენებს. წინასაარჩევნო პროცესების პარალელურად რადიო ათინათი ინტენსიურად აშუქებდა პოლიტიკური პარტიების რეგიონულ აქტივობებსა და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას. საანგარიშო პერიოდში ყველაზე დიდი ყურადღება ახალ მემარჯვენეებს (23%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (14%) და კოალიცია ქართულ ოცნებას (10%) დაეთმო.

ასევე საკმაოდ დიდი იყო პირდაპირი საუბრის წილიც. კოალიციის შემთხვევაში პირდაპირი საუბრის წილი - 16%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წილი - 17%, ხოლო ახალი მემარჯვენეების წილი 57% იყო.

„რადიო 1“

რადიოს 1-ის სიუჟეტები ძირითადად აღწერილობითი შინაარსისაა და წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ უმეტესად ნეიტრალური ტონია გამოყენებული. 21 აგვისტო - 17 სექტემბრის მონიტორინგის პერიოდში

რადიომ ყველაზე დიდი საეთერო დრო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (20%) დაუთმო. ქრისტიან დემოკრატიულ მოძრაობას და კოალიცია ქართულ ოცნებას კი დროის 14-14% ერგოთ.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რადიო 1 განსაკუთრებული ინტენსივობით აშუქებს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მიმდინარე მოვლენებს და პოლიტიკოსების რეგიონებში ვიზიტებს.

პირდაპირი-ირიბი საუბრის თვალსაზრისით, მონიტორინგის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ რადიო 1-ის ეთერში ირიბი საუბრის წილი ჭარბობდა.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად არიან გაშუქებულნი. რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, ისიც უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია.

რადიო „ძველი ქალაქი“


რადიო ძველ ქალაქზე მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 27 წუთი დაეთმო. გამოყენებული ტონი უმეტესწილად ნეიტრალური იყო. ყველაზე დიდი დრო (18%) დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას და გამოყენებული ტონი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური იყო. საკმაოდ დიდი (24%) იყო ასევე კოალიცია ქართული ოცნების პირდაპირი საუბრის წილი. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მთავრობას მთლიანი დროის თანაბარი 11-11% დაეთმო. უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი საუბრის წილით რადიო ძველი ქალაქი სხვა რეგიონულ რადიოებთან ერთად გამორჩეულია.

რადიო „აფხაზეთის ხმა“


რადიოების უმეტესობისგან განსხვავებით, დათმობილი დროის თვალსაზრისით აფხაზეთის ხმის ეთერში კოალიცია ქართული ოცნება (321%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ლიდერობენ. ირიბი და პირდაპირი საუბრის კუთხით, აფხაზეთის ხმის სადამოს გამოშვებებში ირიბი საუბარი ჭარბობდა. თუმცა პირდაპირი საუბარი გარკვეული წილით პირველი ათეული თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში იყო გამოყენებული. გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალურია. უშუალოდ ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში, გაშუქების ტონი პრაქტიკულად 99%-ის შემთხვევაში ნეიტრალური იყო.

დანართი

დიაგრამა 1




დიაგრამა 2



დიაგრამა 3

რადიო თავისუფლებასა სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 5სთ და 35წთ)




დიაგრამა 4

რადიო იმედზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 3სთ და 14წთ)



დიაგრამა 5



დიაგრამა 6




დიაგრამა 7




დიაგრამა 8




დიაგრამა 9




დიაგრამა 10




დიაგრამა 11




დიაგრამა 12




დიაგრამა 13




დიაგრამა 14




დიაგრამა 15




დიაგრამა 16




დიაგრამა 17




დიაგრამა 18




დიაგრამა 19




დიაგრამა 20




დიაგრამა 21




დიაგრამა 22




დიაგრამა 23




დიაგრამა 24




დიაგრამა 25




დიაგრამა 26




დიაგრამა 27




დიაგრამა 28



დიაგრამა 29




დიაგრამა 30




დიაგრამა 31




დიაგრამა 32




დიაგრამა 33




დიაგრამა 34




დიაგრამა 35




დიაგრამა 36




დიაგრამა 37




დიაგრამა 38




დიაგრამა 39




დიაგრამა 40




დიაგრამა 41




დიაგრამა 42




დიაგრამა 43




დიაგრამა 44




დიაგრამა 45



დიაგრამა 46



დიაგრამა 47



დიაგრამა 48

